



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

(ქ. ოზურგეთი კოსტავას ქ. №1 ტელ. 7-45-25)

12 ივლისი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №195

თამარ რუსიეშვილის მივლინების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე და 39-ე მუხლების და „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 30 აპრილის №231 ბრძანებულების შესაბამისად:

ე ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მივლინებულ იქნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების საკითხებში მთავარი სპეციალისტი თამარ რუსიეშვილი ქალაქ ქუთაისში, ტრენინგ-სემინარში მონაწილეობის მისაღებად, მიმდინარე წლის 15 ივლისიდან 17 ივლისის ჩათვლით.
2. დაევალოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს, გამოუყოს საკრებულოს აპარატის მოქალაქეთა მომსახურების საკითხებში მთავარ სპეციალისტს თამარ რუსიეშვილს მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯები.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ოზურგეთი, ი.სიორიძის ქ. №14)
4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ავთანდილ სურგულაძე